№ 7 10 მარტი 1931 წ.

ნიანგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. ნადარეიშვილის.

— ჩემ ყოფილ ქარხანას ჩემი ყოფილი მზარეულის ქალიშვილი განაგებს. ეს არის სამართალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეთრი კბილი—შავი გული“

მეორე ოთახიდან ქალის ტირილი შემოისმა.

ელენემ ყურები დასცქვიტა და სმენად გადაიქცა.

—თებრო, თებრო, არ გესმის? მეზობლისას რაღაც ამბავია!—გაოცებით წამოიძახა მან.

—არაფერია, ჩემო კარგო, ჩვეულებრივი ამბავია, ოჯახური სცენა. ალბად ერთმანეთის ძლიერი სიყვარულით მოსდით.

დამშვიდებული კილოთი უპასუხა მას თებრომ, რომელიც სარკის წინ იდგა და სახეს ილამაზებდა.

—როგორ თუ არაფერია, განა არ გესმის ქალის ტირილი? შენ ისე ამბობ, თითქოს ტირილის მაგიერ სიცილი გესმოდეს. ეხლავე უნდა შევიტყოთ რაშია საქმე!—გაცხარებით გაიძახოდა ელენე, რომელიც საქსოვ ქარხანაში მოწინავე მუშა ქალათ ითვლებოდა და დღეს თებროსთან მოსულიყო იმისათვის, რომ კლუბში წაეყვანა ის, სადაც მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავი საღამო იმართებოდა.

ელენე და თებრო თვალცრემლიან თამროს ამშვიდებდენ.

—აბა, ჩქარა ჩაიცვი და წამოდი ჩვენთან!—დაჟინებით ეუბნებოდა მას ელენე.

—ნუ ჯიუტობ, ქალო. გაიგე, რომ დღეს ქალთა დღე არის. ბიჭია და გაგიბედოს რამე შენმა ქმარმა. ადე. წამოდი!

ცოტა ხნის შემდეგ ელენე, თებრო და თამარი ერთად მიდიოდენ მუშათა კლუბისაკენ, საცა ვანო ცბიერაშვილი მოხსენებას აკეთებდა მუშა ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ. გზაში ელენემ გაიგო, რომ თამრო ვანო ცბიერაშვილის ცოლი იყო.

ვანო ერთ-ერთ პროფკავშირის პასუხისმგებელ მუშაკათ ითვლებოდა, რომელიც სიტყვით ახალ ყოფა-ცხოვრებას ქადაგებდა, საქმით კი ძველ ტრადიციებს ჩაბღაუჭებოდა.

არა უშავს,—ამბობდა ის თამროზე, როცა მას [illegible] ალად თხოულობდა, —სახლში მეყოლება, დამბანს, დამიგებს, მაჭმევს და მასმევს, ისე კი ქალების მეტი რა არის!

და მართლაც, თამრო და ვანო არავის უნახავს ერთად სადმე. თამრო მუდამ მარტო ოთახში იჯდა, ვანო კი თილას რომ ადგებოდა, შუაღამემდის სახლში არ ბრუნდებოდა.

და ასე ამხანაგებო! რვა მარტი მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე არის. მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში, მხოლოდ მშრომელთა დიქტატურის პირობებში შესაძლებელი დარჩა დამსხვრევა ქალთა ბორკილებისა.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში კი ქალი დღესაც მონაა კაპიტალის ხელში. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ქმარი ცოლის ბატონია. ჩვენში ასეთი ოჯახი ინგრევა,—ცოლ-ქმარი თანასწორნი ხდებიან. მაშ, გაუმარჯოს ამხანაგებო მშრომელ ქალთა განთავისუფლებას ყველგან. გაუმარჯოს საერთაშორისო ოქტომბრის რევოლიუციას“!—დაასრულა ვანო ცბიერაშვილმა თავისი მოხსენება, რომელსაც მოყვა ტაშის გრიალი. ელენე. თებრო და თამრო ისეთ ადგილას ჩამჯდარიყვენ, რომ ვანოს არ შეეძლო მათი დანახვა.

ღამის პირველი საათი იყო, რომ ვანო სახლში დაბრუნდა. მიიხედ-მოიხედა ოთახში თამრო არსად სჩანდა. ასეთი შემთხვევა პირველი იყო თამროსაგან.

ვანო ბრაზისაგან კბილებს აკრაჭუნებდა, თან კი შიშისაგან ჟრუანტელი ტანში უვლიდა.

—ვაი, თუ ვინმეს შესჩივლა ჩემზე, ფიქრობდა ის.

ამ დროს კარი გაიღო და ოთახში თამრო შემოვიდა.

—სად ბრძანდებოდით ქალბატონო!—მიახალა მას ცბიერაშვილმა.

—სად უნდა ვყოფილიყავი. ქუჩაში გავედი წმინდა ჰაერზე!—უპასუხა მას ნელი ხმით თამრომ და თავის საწოლ ოთახში დააპირა შესვლა.

—სტყუი! ამ დროს ქუჩაში მხოლოდ ქუჩის ქალები დადიან.—და ვანო ცბიერაშვილი მიუარდა თამროს და ის იყო ფიზიკური შეურაცყოფა უნდა მიეყენებია, რომ კარებზე კაკუნი [illegible] სმა... თამრომ კარი გააღო. ოთახში ელენე და თებრო შემოვიდენ.

—მიცნობდით, მე ვარ საქსოვ ქარხნის მუშა ქალი ელენე ბამბიაშვილი. თქვენ გინდათ იცოდეთ სად იყო ამელამ თქვენი ცოლი? ის იყო იქ, სადაც თქვენ იყავით. გიკვირთ არა? ჩვენთან ერთად მანაც მოისმინა თქვენი საინ[illegible]რესო მოხსენება ქალთა განთავისუფლების შესახებ. იქ ჩვენ ვხედავდით თქვენს „თეთრკბილს“, აქ კი დავინახეთ თქვენი „შავი გული“. მშვიდობით.

ელენე და თებრო ოთახიდან გამოვიდენ. ვანო დიდხანს იჯდა თავჩაღუნული.

ყუჩარა

ნახ. ქოქიაშვილის.

— ეხლა კი მივხვდი თუ რა მძიმე სამუშაოს ასრულებს ქალი ოჯახში, ერთი საათით დამიტოვა ცოლმა ოჯახი და, მეტი აღარ შემიძლია.

„კუტები“

ტემპი - ტკეპნეს ტრესტის დირექტორმა, ილარიონ ინჩქიტაძემ მიიღო „კუტებეს“ ალბეჭვდით და ხელმოწერით მიმართვის ბარათი.

ამ მიმართვაში ეკითხებოდენ ტემპი - ტკეპნეს გამგეობას, თუ რითი ფიქრობდა ის რვა მარტის დღის აღნიშნვას.

ილარიონს პირველათ არც კი მიუქცევია ყურადღება ამ მიმართვასთვის, მარა შემდეგ უსაქმობის გამო აიღო ხელში წასაკითხათ და ძალა - უნებურათ ჩაუფიქრდა მის შინაარს, — ერთი იმიტომ, რომ ვერ მიმხვდარიყო, თუ რა დაწესებულებას წარმოადგენდა ეს „კუტები“, და მეორეც იმიტომ, რომ შიგ ქალების შესახებ იყო გაკვრით ლაპარაკი.

ამ გარემოებით დაინტერესებულმა ილარიონმა ჩამოთვალა თავის მეხსიერებაში ყველა ის დაწესებულებები, რომლებიც შინაკლიბური სახელწოდებებს ატარებდენ, მაგრამ ვერც ერთ მათგანი ვერ მოიგონა.

საკუთარ გონებით, რომ ვერას იაზდა, მოიწვია მდივანი, მარა ისიც სუსტი აღმოჩნდა ახალ ლექსიკონის ცოდნაში.

საჭირო შეიქნა კანცელარიის გამგის, ინსტრუქტორის და სხვა პასუხის მგებელი მოშაკების მოწვევა, მაგრამ ისინიც სრულებით უვიცნი აღმოჩნდენ ამ საქმეში.

ბოლოს დირექტორის კაბინეტში მდივანთან შემოვიდა რაღაც ქაღალდით მომანქანე ქალი, რომელმაც ყური მოჰკრა შეკრებილთა ბაასს და გამოიყვანა გაჭირვებულ მდგომარეობიდან ისინი. მან აუხსნა მათ, რომ ეს დაწესებულება იყო მუშა და გლეხ ქალთა შრომის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების კომიტეტი, რომელიც ყოველწლიურათ ატარებდა ქალთა საერთაშორისო დღეს, — რვა მარტს.

რაკი ეს ამოცანა გამოცნობილი იქნა, რისთვისაც საჭირო შეიქნა თითქმის მთელი დაწესებულების ფეხზე დაყენება, ამის შემდეგ ხომ აღარ შეიძლებოდა მისი უყურადღებოდ დატოვება! და აი, დირექტორმა ილარიონ ინჩქიტაძემ იმავე საღამოს მოიწვია თანამშრომელთა ფართო თათბირი ამ დღის ჩატარებაში მათი მონაწილეობის გეგმის დასამუშავებლად.

თათბირი მეტათ ცხოველათ ჩატარდა. მართალია, დასაწყისში ვერავინ მოეფიქრა, თუ რანაირი წინადადება შემოეტანა, მარა ცოტა ხნის შემდეგ წინადადება წინადადებაზე შემოქონდათ.

პირველი წინადადება თვით ტრესტის დირექტორმა შემოიტანა იმის შესახებ, რომ ამოცანის გამომცნობი ქალი დაეწინაურებიათ — მემანქანიდან ტრესტის გამგეობის ტეხნიკურ მდივნად წამოყენებით.

აქ მას, მართლია, სხვა რამ მოსაზრება ჰქონდა სახეში, მარა მოსაზრება მოსაზრებათ რჩებოდა და წინადადება კი ერთხმათ იქნა მიღებული.

შემდეგ შემოვიდა ისეთი წინადადებები, რომლებსაც არავითარი მახლობელი კავშირიც კი არ ჰქონდა რვა მარტის დღესასწაულთან, მარა ყველა ისინი მიღებული იქნენ.

ტრესტი ტემპი - ტკეპნეს მიმდინარე წლის ჩვეულებრივი მუშაობის გეგმიდან თითქმის ყველა მუხლები რვა მარტის სახელით იქნენ მონათლული...

„კუტებეს“ კომიტეტის სხდომაზე, როდესაც იხილავდენ სხვადასხვა დაწესებულებების მიერ წარმოდგენილ გეგმებს, — ყველანი აღტაცებაში მოვიდნენ ტემპი - ტკეპნეს ტრესტის მიერ წარმოდგენილ გეგმით.

ეჭვი არ არის, რომ ამ გეგმის მხოლოდ პირველი მუხლი, დირექტორ ილარიონ ინჩქიტაძის მიერ შეტანილი, — შესრულებული იქნება მისივე მოსაზრებების მიხედვით. დანარჩენებს კი მომავალი წლის რვა მარტი გვიჩვენებს!..

ს: თ—ია

— რაი დაღონებულხარ ბასავ?

— ე-ე, რაღა-რაი დავღონებულვარ, ქალი გამიჩნდა, ვიდევ მეემატა ზედმეტი მჭამელი ჩემ ოჯახს!

—ამ სიბერი დროი, ბასავ ძაან მხიარულადა გხედავ!

—მხიარულად ვიქნები აბა; ქალი წამომეშწრო აგრამონი გახდა, დგა და კოლექტივში მუშაობს.



ნიკოლოზს

[მოგონება]

წახდა, ნიკოლოზ, შენი მათრახი
პრისტავით-ჩაფრით და დესეტნიკით,
თვითმყრობელობის დაგრჩათ პარტახი,
თქვენ კი წაშავდით ამ პარტახს იქით...

ვერ მოასწარით გაშლაც კი კვირტის,
რევოლიუციის რომ მოგვხდათ ქარი,
გაგყვათ ალაპი არყის და სპირტის
და რასპუტინის გლოვისა ზარი...

ზარი, სამრეკლო და საცეცხლური,
ვერ გამოგადგა ველარ გიშველა:
წავიდა ძველი შეგნება მღვდლური
და შეუგნებელთ ფურიივით წველა...

უცხონდა გრიშკას ის მამა-პაპა,
ვინაც დაბადა ასეთი ცეტი:
მას იფარავდა დედოფლის კაბა
და მეეზოვის მაგარი კეტი...

აყროლებული ეცვა ჩუქმები,
მეფურ ღირსებას შენს რომ ადგამდა,
და შენ რომ სპირტში გეწყო ფეხები
ის მადიანად შენს საზრდოს სჭამდა...

რა ვუყოთ, თუ შენს ადრე დაეცა
ვით დიდმა მუხამ ტან-სუსტი ჩქოლა,
თავს დაგათხლიშა მორევით ზეცა,
მოსკდა და შენაც ქვეშ მოგიყოლა...

შენ დედოფალმა არც კი გიტირა,
მაგრამ გრიშკაზე კი ღვარა ცრემლი...
დროებამ ასე გამოგიწირა
და აღსდგა: ურო, ქურა და გრდემლი...

და წახდა ძველი დიდება შენი,
შენი პატივი წავიდა ყველა,
თავს ჩამოგენგრა უტვინო სხვენი,
ციხე, ბორკილი და სახრჩობელა...

დღეს სოციალიზმს აგებს, აშენებს
ხალხი მშრომელნი, ხალხი ძლიერი:
შენს სასახლეებს დღეს დაამშვენებს,
შრომის ალამის ცეცხლის იერი.

აზირა

სასამართლო მოვიდა!

— სასამართლო მოდის, გთხოვთ აბრძანდეთ!

სასმართლოს დარბაზი სავსეა ხალხით.

მოსამართლეებად მუშები სხედან.

განაჩენი სხარტია:

... და მიესაჯოს მავნებელ კონტრრევოლიუციონერებს, რომლებიც ჩვენი მრეწველობის და მთელი სახალხო მეურმეობის განადგურებით ცდილობდენ კაპიტალიზმის აღდგენას... და სხ.

— გთხოვთ ადგეთ! სასამართლო მოდის!

ისევ უზარმაზარი დარბაზი.

ისევ ხალხი.

ისევ მავნებლები, ინტერვენციის ორგანიზატორები.

... და მიესაჯოს...

— სასამართლო მოდის! გთხოვთ ადგეთ!

დარბაზში აუარებელი ხალხი. უფრო მეტი — დამკვრელები.

მოსამართლეებად — დამკვრელები, მელითონეები, მაღაროელები.

... პროლეტარიატის დიქტატურის სახელით, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებს, რამზინებს, ლარიჩევებს და სხვებს... და ასე შემდეგ.

სასამართლო მოდის!

თქვენ ცმუკავთ, ბატონო ვანღერველდე, მეორე ინტერნაციონალის თავმჯდომარევ? თქვენ რაღა დაგემართათ ბატონო კაუცკებო, ლეონ ბლიუმებო, პოლ ბონკურებო, რენოდელებო, ჰენდერსონებო და მათნო ამქარნო? თქვენ რათ ჩაგედოთ ნაცრის ფერი? რა უყოთ, რომ სუხანოვს, გრომანს, შერს და სხვა მენშევიკებს ასამართლებს ბოლშევიკური სასამართლო! თქვენ რაღად გეწვით კუდი?

როგორ? თქვენ არა ხართ ინტერვენციის მომხრე? რატომ, იმიტომ რომ გგონიათ საბჭოები თავისით დაემხობიან? სთქვით, ნუ მორცხობთ, სათანადო უნარი ხომ კარგი ხანია დაკარგეთ! სად თქვენ, სად სირცხვილი!

ტყვილია თქვენი უარი, ბატონო სოციალ - ინტერვენტებო! აქაურმა და მადაურმა — ევროპისა და ამერიკის მუშებმა და საერთოდ მთელი ქვეყნის პროლეტარებმა კარგათ იციან, რომ:

ის დაწესებულება, რომელსაც მეორე ინტერნაციონალი ეწოდება, თავიდან ბოლომდე იმპერიალიზმის სამსახურის სურვილით არის გაჟღენთილი;

იციან, რომ საერთაშორისო სოციალ — გამყიდველიზმი აქტიურად

თებერვლის მოლოდინში

ნახ. მარიაშის

რევოლიუციის ტალღების სრბოლა
თვითმპყრობელობის დაანგრევს დამბებს.
უკვე იწყება მედგარი ბრძოლა,
მალე გავიგებთ თებერვლის ამბებს.

იბრძოდა „თავ-თავის“ ქვეყნის ბურჟუების დასაცავად 1914-1918 წლებში;

იციან, რომ იგივე მენშევიზმი გულდაგულ იცავდა ინტერვენციას 1918-1921 წლებში, რასაც მიზნათ ქონდა საბჭოების ქვეყნის დამხობა;

იციან, რომ იგივე სოციალ-ფაშიზმი ნიანგის (არა ჩვენი „ნიანგის“) ცრემლებს ღვრის ჩვენში სოციალისტური მშენებლობის ყოველ ახალ გამარჯვებაზე;

იციან, რომ სოციალ - იმპერიალიზმი, კაპიტალისტებთან ერთად აქტიურად ამზადებს ახალ ომს პროლეტარიატის სამშობლოს — სსსრკ-ს წინააღმდეგ;

იციან (ეს ამ დღეებში გაიგეს), რომ მეორე ინტერნაციონალმა ბარე ერთ მილიონამდე მანეთი მისცა რუს მენშევიკებს, ინტერვენციის დაწყებისათვის საბჭოთა კავშირში ნიადაგის მოსამზადებლათ;

იციან, რომ მე-2 ინტერნაციონალი საერთოდ და კერძოთ კაუცკი, ვანდერველდე, ბლიუმი, ბონკური, ჰენდერსონი, მაკდონალდი, რენოდელი, აბრამოვიჩი, დანი, გრომანი, შერი, სუხანოვი, გინსბურგი, ბერლაცკი, რუბინი და სხვა ასეთი ჯიშის ხალხი ამჟამად საბრალდებულო სკამზე სხედან და უკვე გაბზარული გულის ძიგძიგით მოელიან სასიკვდილო განაჩენს.

თქვენ მრევლი აღარ გყავთ, მამაო ხუცებო მე-2 ინტერნაციონალიდან. ამიტომ დაბრძანდით, გაიკრიჭეთ.

სასმართლო მოვიდა!

თქვენ სად მიძვრებით სოციალ თხუნელებო? მიწაში?

უსათუოდ ღირსეული ადგილია!

მელითონე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვეულებრივი მოვლენა თბილისის ქუჩებში

ნახ. ქოქიაშვილის.

ქალთა დემონსტრაციაზე

(ყურმოკრული)

— რას იტყვი, აჰ?!

— შენ რას იტყვი?

— მე—?..—კოტემ კისერს დაუწყო ქექა. თვალებით კი მისჩერებოდა მწკრივში ჩამდგარ ქალების ერთ ჯგუფს, რომელიც მკვირცხლი, წკრიალა ხმით „ინტერნაციონალს“ მღეროდა ოპერის თეატრის პირდაპირ.

— ის არის მარო, ვინტოვკა რომ გადაუკიდია მხარზე, ხომ?—შეეკითხა ბესო კოტეს, რომელმაც კისრის ფხანას თავი დაანება და სწრაფად სწვდა გალსტუკს, რომელიც ჭუჭყიან საყელოზე ირიბულად ჩამოკიდებულიყო.

კოტე ისე გაშეშებული შეჰყურებდა მაროს, თითქოს ცდილობდა არც ერთი მისი მოძრაობა არ გამოჰპაროდა, ცდილობდა ერთხელ მაინც დაეჭირა მისი თვალები, რომ შეეხედა პირისპირ თავის მოწონების მიზნით. ამ ცდაში მას უკვე დაავიწყდა გალსტუკის მიმართულების შეცვლა.

— არა, კოტე, ეს არ არის მარო,—უთხრა ბესომ, რომელსაც არა ერთხელ უნახავს კოტეს ოჯახში მტირალე ჩაღლეტილ ძონძებში გახვეული მარო. ბესოს არ სჯეროდა, რომ ის უმწეო, გაფითრებული, უხალისო მარო, დღეს ასე მძლავრად, ასე ამაყად გაჰკიოდა ინტერნაციონალს, ასე მაგრად ეჭირა ხელში ვინტოვკა და ყველაზე მეტად ამჟღავნებდა ურყევ ნებისყოფას, ძლიერ წყურვილს ბრძოლისა და გამარჯვების.

— რას მასწავლი, კაცო... რაღაო არ არის, ჩემს ცოლს მე ვეღარ ვიცნობ?—ნაღვლიანად ჩაილაპარაკა კოტემ და ფეხის ფრჩხილებზე შესდგა, რომ გამოჰყოფოდა მის ირგვლივ მყოფ ხალხს. იქნებ მაროს ყურადღება მიეპყრო.

მუსიკამ დაუკრა მარში და მარომ სხვა ქალებთან ერთად მტკიცე ნაბიჯით გასწია თავისუფლების მოედნისაკენ.

— შენი ბრალია, ძმაო ყველაფერი.

— რაა, კაცო, ჩემი ბრალი?

— შენ რომ არ გადამკიდებოდი, ჩემი ცოლი ჩემთან იქნებოდა ეხლაც... ჩვენ ტკბილად და ბედნიერად ვიქნებოდით.—გულმოსული კილოთი ჩაილაპარაკა კოტემ.

— ძალიან მიჰქარავ... შენ რომ ცოლის მოვლა არ შეგეძლოს, მე რა შუაში ვარ. ყოველღამის ღვინით გაბრანგული რომ მიდიოდი სახლში და დედ-მამის სულს რომ უტრიალებდი შენს ცოლს, აბა რა გეგონა?..

— შენ მასწავლე, ყურუმსალო ღვინის სმა და ახლა მელაპარაკები ამას?.

— ღვინოს, მართალია მეც კი ვსვამ, მარა... ,

— კარგი, კარგი... რა მარა? შენ ხომ კარგად უვლიდი ცოლს... იმიტომაც შეგაბერდა. ——

— არა,—ბესომ ულვაში გაისწორა უხერხულობის მისაჩქმალავად... არა, ჩვენ სხვა ნიადაგზე გავშორდით.

— დიახ, „სხვა ნიადაგზე“... რა, ბიჭო, მე შენ გეტყვი და საერთაშორისო პოლიტიკური ძდგომარეობის შეფასებაში მოგივიდათ კონფლიქტი!!. მზის სინათლეს არ ანახვებდი, ერთხელაც კრებაზე დასწრების უფლებას არ აძლევდი, სცემდი, ეჩხუბებოდი და მანაც უშველა თავს...

— კი, მარა რა გინდა ახლა მაგით?..

— არა, არაფერი არ მინდა, მარა ჩემზე რომ ლაპარაკობ, შენმა თავმა ქვა გარტყა?

— დავანებოთ ახლა თავი ამას. ძალიან ცუდ გუნებაზე დავდექი. —

— ერთი ჩემი გუნებაც იკითხე?

— რა კარგია ეხლა ერთი გადაკვრა.

— ეჰ! კარგია, მაგრამ სად-ა გროში.

— — სეგკირ-ბენ-შეიხ.

რასპუტინი და მეფე-დედოფალი

თანამედროვე ანდაზები

◆ ისეთი მწვადი შესწვი,—შეჭამო და არ ჩაგმწარდესო.

◆ ბურჟუას ლაქია აკლდა და მენშევიკი მიემატაო.

◆ ბიუროკრატი ბჰობდა და მუშგლეხინი იცინოდაო.

◆ ბიუროკრატმა სთქვა: მუშკორს ერთი შეხედვით ვიცნობო.

◆ გამფლანგველი კვდებოდა და თავი სალაროსკენ მიქონდაო.

◆ ერთი „თბილი ადგილი“ ცხრა მართველმა გაიყოო.

◆ ვისაც უნდა აკრიტიკოს, მხოლოდ გამგე კარგათ იყოს.

თუ მტერი არ გყავს, მართველი გააკრიტიკე, მტერი გაგიჩნდებაო.

◆ კალამი პატარაა, მაგრამ დიდ ბიუროკრატსაც წამოაქცევსო.

◆ კულაკმა ფეხი გამოჰყო—მეც კოლექტივისკენაო.

◆ მენშევიკს რომ ენა არ ქონოდა, ტყუილს ვინდა იტყოდაო.

◆ მოკლას გამფლანგველი ფულებმაო.

◆ მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტი ორივ ძმებიაო.

◆ ნუ იქმ ცუდსა, მუშგლეხინის ნუ გეშინიაო.

◆ პოიტობა ომუშ...რის მოგონილიაო.

- ტელეფონმა სთქვა: მე კი დაურეკავ და სადგურმა გინდ შეაერთოს, გინდ არაო.

◆ ურემი რომ გადაბრუნდება, თემსაბჭოს სიგლახე მაშინ გამოჩნდებაო.

ბახჩო.

დაწინაურებამდე ნახ. ტაბატაძის

ზოგი დაწი

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მშვენიერია ჩემი ცოლი!

ფიგურალური გამოთქმა

ასალო ასკინკილაძე ჩვენს უაკტში აქტიურად ითვლება. საზოგადოებრივი მუშაობის რომელ დარგს იტყვით, რომ ასალო შიგ ორივე ფეხით არ იყოს ჩარგული. ამიტომ ბუნებრივია, რომ რვა მარტის მნიშვნელობის შესახებ მოხსენების გაკეთება ადგილკომმა ასკინკილაძეს დაავალა—როგორც აქტივს.

თავის მხრივ, ასალოს უაქტივესი ცოლი ელპიტიც საზოგადოებრივ მუშაკად ითვლება.

ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ მოხსენების ჩატარება მას დაევალა იმ შრომის სკოლის მშრომელთა წრის კრებაზე, სადაც მისი ბავშვები სწავლობდენ.

მოხსენებისათვის ასალომ თეზისები და ამზადა და საღამოს, ჩაის შემდეგ ოჯახის აქტივის (ე. ი. მათი ექვსი ბავშის) გაერთიანებულ კრებაზე დაამუშავა.

— ქალი უნდა ვიხსნათ ოჯახის მონობისაგან, იგი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ საზოგადოებრივ ასპარეზზე. ამისათვის საჭიროა მოვსპოთ და დავამსხვრიოთ სამზარეულოს ბორკილები.

უნდა გავანადგუროთ ჭუჭყიან სარეცხის „ლახანკები“, უთო, პრიმუსი, ქვაბი, ჭურჭელი და ყველაფერი ის, რაც ქალს ბორკავს და ხელს უშლის მამაკაცის მსგავსად ჩაებას საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში.

— შეკაცო, რაა ყველა საოჯახო ნივთება რომ ჩაგიწერია? ჩაგეწერა ბარემ ჩაის ჭიქები და მურაბის ლამბაქებიც! დაცინვით შენიშნა ელპიტიმ.

— შენგან არ მიკვირს ელპიტი! იგი ფიგურალური გამოთქმაა, რომელიც ახასიათებს ძველი ყოფა-ცხოვრების დახავსებულ ტრადიციებს, ეს შენს მოხსენებაშიც რომ გამოიყენო კარგი იქნება.

თეზისებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ოჯახის აქტივზე. ყველა ფიგურები გაიმსჭვალენ ასალოს „ფიგურალური გამოთქმებით“.

შვიდ მარტს მშობელთა წრის გაერთიანებულ კრებაზე ელპიტიმ ვრცელი მოხსენება გააკეთა, რომელიც დააბოლოვა ასალოს ფიგურალური გამოთქით „სამზარეულოს ბორკილის“ დამსხვრევის შესახებ.

ფაცუ, გიტუ, ცაცუ, ძაძუ და ღიტუ (ელპიტის და ასალოს ბავშები) დაესწრენ დედის მოხსენებას და მშობლების ფიგურალური გამოთქმების საფუძველზე ისინი მოემზადენ ძველი ყოფა-ცხოვრების ტრადციებთან საბრძოლველად.

8 მარტი გათენდა. ელპიტი დემონსტრაციაზე წავიდა, ასალო სამუშაოზე. სახლში დარჩა „აქტივი“ (ფაცუ, გიტუ, ცაცუ, ძაძუ და ღიტუ) ცოტა ხნის შემდეგ აქტივმა ასეთი მუსაიფი გააბა.

— ფაცუ!

— რაა ცაცუ?

— დღეს რვა მარტია, შენ რას გასტეხ?

— მე საინებს დავამტვრევ, შენ?

— მე ჩაის სერვიზს და მურაბის ლამბაქებს!

— ჩაქუჩი რათ გინდა გიტუ?

— ლახანკა და პრიმუსი უნდა გავტეხო ღიტუ.

— მე კი კატლეტის საკეპ მანქანას და ემალიან კასრულს უტირებ ყოფას!

— უთოს და დიდ სუფოვნიკს მე უნდა გავაცალო ღდინი!

— ამ ხილის ვაზას და იატაკის დასაგველ ჩოთქს მე ჩავახვილიფებ!

— მე ამ სამოვრის სიფათი უნდა ვკნიტო, —გადაუშვებ ზემო-სართულიდან ქვაფენილზე!..

ჩახ... ლაწ.. ჩხრრრ... ტაკი-ტუკი... და ასალოს ოჯახში გაჩაღდა „ბრძოლა ქალის გასანთავისუფლებლად“ სამზარეულოს ბორკილებიდან..

პირველად ელპიტი დაბრუნდა სახლში. „ბრძოლა“ უკვე დამთავრებული დახვდა. „ბორკილის“ ნამსხვრევებით მოფენილი იყო ოთახი, სამზარეულო, აივანი,—ეზოს ფილა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაურებული დაწინაურების შემდეგ

— ამ ბოლო დროს რატომღაც აღარ მომწონს ჩემი ცოლი!

ქანზე ეგდო გვერდებ შეჭყლეტილი სამოვარი და თავგაჩეჩქილი პრიმუსი.

თქვენთვის წარმოსადგენი იქნება გულუბრყვილო „აქტივის“ გაოცება, როცა ელპიტიმ თავში წაიშინა, შემდეგ გული წაუვიდა, ხოლო შემდეგ კი ისტერიული წივილ-კივილი მორთო.

— რატომ ტირი დედა, რატომ? ჩვენ ხომ ის ვქენით, რასაც შენ და მამა მოხსენებაში ყველას ასწავლიდით,—აბა ტყუილს ამბობდი?

ასალოს მოსვლა უკანასკნელი ყალმის მოსმა იყო სურათის სრულსაყოფად (ფიგურალურად ვამბობ) მას გაოცებაც კი არ დააცალა ელპიტიმ.

— დაგიმიწდეს ეგ ლაქლაქა ენა, შენი ფიგურალური გამოთქმებისათვის. აგერ თავისებურად გაუგიათ და მოუყვანიათ კიდეც სისრულეში.

— რომ აგილია თავი და დაჭიანებ ვერ დეითხარე სახლში? გამეიგონეთ რაცხა ქალის დღესასწაული და ახალი ყოფა-ცხოვრებისათვის ბრძოლა. ქალი რაა და იმისი დღესასწაული რა იქნება? ქალი იმიტომაა გაჩენილი, რომ სახლში იჯდეს, სადილი ამზადოს, ხვეტოს, რეცხოს, ხეხოს; ბალნებს მოუაროს, ქმარს საცვლები დაუკეროს და სხვაი მისთანები. წაგამწარებ მაგ შენს რვა მარტს და დაგამწყვდევ სახლში!

ასე „დააფიგურალურა“ ასალომ ქალთა დღის მნიშვნელობა თავის ოჯახში.

ფარსადან.

შეჯიბრება

მე **რუსთველის პროსპექტი** ვარ
ქუჩა დიდი, ქუჩა ფართე;
შენობები ბევრი დავდგი
ეგზომ წელში გავიმართე.
პლეხანოვმა უპასუხა:
სასადილოს ვაგებ დიდსა,
ვერის ბაღთან მოკლე დროში
გავჭიმავ და გავდებ ხიდსა.
(ისე როგორც პატარძალი
დავამშვენებ მუშტაიდსა)
მე **დიდუბე** დავიკვეხებ
ამ მაუდის ფაბრიკითა;
გერმანელთა კოლონიას
გადავხურავ კრამიტითა.
ლენუბანმა გამოსძახა:
გადავთხარე მთა და ბარი...
რაც შენობებს მე ვაკეთებ
ვინ იქნება სხვა ამგვარი!
ამ ჩუღურეთს წისქვილებით
სხვა არა ყავს ტოლი, ბარი,
ორთაჭალას არ ჩამორჩა
მახლობელი **ავლაბარი.**

ს. ძნელოღლი

წერილი აფრიდონიძეს

ქუთაისი

— გამარჯვება გოგია, გამარჯვებული რა ვა არ ხარ, ბიჭო, რაც შენ აფერისტობა და „გაიმასქნიობა“ შეგრჩა ხახვივით.

რაფერ იყო, თუ ძმა ხარ, შენ რომ ბათომში იყავი რკინის გზაში თუ საბაჟოში და ბარე 5.000 მანეთი გადაგიდა ყელში. მგონია ცოტა ხანს მეც იჯექი გამსახლში, მარა რაფერ დეიძვრინე თავი ციხიდან და ბორჯომში ამოყევი თავი ბუღალტერიაში.

თუ ძმა ხარ კარგად ამიხსენი, როგორ მოატყვილე ბორჯომში გლეხები ხუცუბიძეები და მათ მიერ ნაყიდი ერთ რონოდა ფიცრებს თავი ამოაყოფინე მუხიანში მამა შენის სახელზე. (მაშინ არ იყო ის დიდი ოდა სახლი რომ ეიშენე).

ბორჯომიდან ქე დაგედევნენ, მარა ქუთაისის გამსახლს შეაფარე თავი ბუღალტრათ და ფარცხანაყანების გლეხბეს დასანსლე რამოდენიმე საჟენი შეშის ფული 3.000 მანეთამდი.

ეხლა ღარიბკომი ჩაგიგდია ხელში და ბუღგალტერის „პოპოშნიკი“ ხარო.

ეცადე, ჩემო ბიძია, დროზე წოუაფერასტო მანდ, თორემ მერე გაიგებენ შენ წარსულ ვინაობას და გვიან იქნება.

შენი მაძებარი ხლისტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დროის-ზღაპრები

მგელ-ხუცესი

(გაგონილი ქვემო - სვანეთში და ჩაწერილი „სვანთაგანი“-ს მიერ)

იყო და არა იყო. გაპონზე უარესი ვინ იქნებოდა, მაგრამ იყო სოფ. ლაშხეთში დეკანოზი ივანე გიორგის-ძე მარგიანი.

1905 -ში აჯანყებული გლეხები თავად გარდაფხაძეებს ამოაწყვეტინა. (შამშე გელოვანი, ამბროსი ონიანი და ამბაკო ზურებიანი). ეს ქრისტეს მოციქული და ღვთისნიერი კაცი მკვდრებს წიხლებს ჰკრავდა და შურისძიებით ეუბნებოდა.

—ძაღლი იყავ და ჩაძაღლდი ძაღლსამებრ.

მამაო ივანე დაპატიმრებული არ გეგონოთ, მცველ... ახლავთ!

***

ხალხი განრისხდა და გადაბუგა მისი სახლკარი.

ივანე იცინის, იცინის კვდება სიცილით.

— რა გაცინებს ივანე? — ეკითხება მას ბოქაული — ის მაცინებს ძენი ჭირიმე, რომ „შემწეობითა შენითა და მეფისა ნიკოლოზისა ერთსა ათმაგად ვაზღვევინებ სოფელსა ზარალსა ჩემსა.

და მართლაც სოფელს რამდენიმე დღის განმავლობაში ათმაგად გადაახდევინეს „წმინდა ივანე მარგიანის“ დამწვარ ქონების საფასური.

თებერვლის რევოლიუციამ დააშინა ივანე. მაგრამ როცა მენშევიკები დაინახა, გული დაიმშვიდა:

— არა უშავს, ესენი „ჩვენები“ არიან.

მაგრამ ვაი-ვუით შეხვდა საქართველოს ოქტომბერს.

გარდაიწერა პირჯვარი. უკანასკნელად ახსნა ღმერთი და მანაც „გასაბჭოება“ უყო თავისთავს — გაიკრიჭა და ანაფორა გაიხადა.

24-ის ავანტიურის დროს, მას მოეჩვენა, თითქოს „ცამ პირი გააღო“, მაშინკე მოვარდა ყუთთან და ამოართვა შენახული ანაფორა ჯვარითა და ოლარით მაგრამ ჩაცმა ვერ მოასწრო, რომ „აჯანყება“ დამარცხდა.

— შევუტიოთ მაგ ავანტიურისტებს, გაუმარჯოს კომუნისტებს! — დაიძახა ივანემ და...

რაიაღმასკომის საფუტკრეში ამოჰყო თავი.

ერთი სიტყვით ცხოვრება მისი თაფლივით ტკბილია.

ივანეა ლხინშიო, საქმე-მუშგლეხინშიო.

მელა-კაცი

(გაგონილი ფოთში და ჩაწერილი ИКСИС მიერ)

იყო და ახლაც არის. იყო ერთი კაცი, რომელიც ნამდვილი კვაჭი იყო. ეძახდენ მას გერასიმე იოსელიანს. ეს კაცი წინედ გლეხკომის სასადილოს გამგედ იყო. ბევრი ჭამა თუ ცოტა ჭამა, სასადილო გაფცქვნა.

ამოჰკრეს პანღური. ახლა. დახტა გერასიმე და შეხტა მონადირეთა კავშირის სასადილოში.



დიდ ხანს იბადრია გერასიმე მონადირეთა კავშირში; როცა გული იჯერა, უცბად ის ვაზნად გადაიქცა. აიღეს ვაზნა, ჩადეს თოფში და გაისროლეს და თოფიდან ტყვიას მაგიერ გ... კ იოსელიანი გამოვარდა. გერასიმემ ნიშართულება აიღო მუშათა სასადილოსაკენ და მართლაც პირდაპირ შიგ უშა მიზანში (დახლი) მოხდა გამგედ.

— როგორ უნდა დაითხოვოთ, როცა, ს... ... სადმე მაინც მოეწყობა ისეთი კომბინატორია! — ამბობს ადმინისტრაცია და გერასიმე ისევ გერასიმობს და იოსელიანობს ფოთის მუშათა კლუბის სასადილოში.

უცნაური პალტო

(გაგონილი ტობანიერში ჩაწერილი ჩანჩურის მიერ)

იყო და არა იყო. იყო და ახლაც არის ტობანიერის კოოპერატივი, სადაც კოოპერატორობს შ. ჯოგლიძე. ჰქონდა ჯოგლიძეს ძველი პალტო.



როცა კოოპერატივმა ახალი პალტოები მიიღო, უცბად შალიკოს ძველმა პალტომ თავი კედელზე ჩამოიხრჩო

შალიკო დადის ახალ პალტოში.

კოოპერატივმა კიდევ მიიღო პალტოები.

შალიკომ გაიხადა ნახმარი პალტო, ისევ მიაკრა ზიდ „იარლიკი“, ჩამოჰკიდა ვიტრინაში გასასყიდათ და თვითონ ისევ ახალი პალტო ჩაიცვა.

— კაცო, როგორ ყოველთვის იცვლი პალტოს! სადა გაქვს ამდენი?— შეეკითხა ერთი გლეხი.

— მე ისეთი ძველი პალტო მაქვს, რომ როცა მინდა ვეტყვი და ახლად გადაიქცევა.

ბევრი ილაპარაკეს თუ ცოტა ილაპარაკეს, შალიკომ გაჰყიდა თავისი ძველი პალტო.

გახარებული გლეხი გარბოდა სახლისაკენ შალიკოს ძველი პალტოთი და ფიქრობდა:

— რამდენს ჩავიცვამ, იმდენ ახალ პალტოს მომცემს ეს ძველი პალტო.

— დავიდგეს თვალები! ამ ძონძში მიეცი ამოდენა ფული? — უსაყვედურა ცოლმა გლეხს.

— ნუ ბრაზობ, ჩაიცვი და ნახავ როგორი ახალი პალტო ჩაგაცვას ამ ძველმა პალტომ. ეს პალტო სასწაულთმოქმედია!

მაგრამ მთელი ეს ზამთარი ისე გაატარა გლეხმა ძველ პალტოში. რომ სიზმარშიაც კი არ უნახავს ახალი პალტო.

ზმუკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდა მხატვრები

ნახ. მშვიდობაძის, ზესტაფონი.

— კაცო, სუყველა თუ ერთი შინაარსის არის ეს წერილები, რატომ ხუთს გზავნი და არა ერთს?

— ამ ხუთ წერილიდან ერთიც თუ მიიღო, ისიც სასწაულია.

ნახ. ტყემალაძის, ჭიათურა

— თქვენს გამგეზე ვერაფერს იტყვი?

— როგორ! კარგია?

— რის კარგი! იტყვი და სამსახურს გამოგიმშვიდობე!

ოპორტუნისტი

ნახ. მარლენის, ხიდნალი.



— წინედ კარგად ანათებდა ჩვენი ელსადგური!

— მაშინ საბჭოთა არჩევნები მიმდინარეობდა და თავმჯდომარე ყურადღებას აქცევდა სადგურს.

ნახ. ძაძამისი, ხაშური.

— ტყუილია, რომ ამბობენ: ეკლესიიდან არავითარი სარგებლობა არ არისო, ეს ზარები კი სხვადასხვა მანქანების გასაკეთებლად მიაქვთ.

ნახ. ორჯონიკიძის, ქარელი.



უფროსი ნოქარი: — ეს საზაფხულო კაბა იყიდე, ჯამაგირში გამოგიბარებთ.

მეორე ნოქარი: — რად მინდა, ზამთარია და ვერსად გავყიდი.

ნახ. კალანდაძის, ლანჩხუთი.
საჩაიეში



— მიიწით ცოტა, ეგებ მეც ჩამოვჯდე ბაგ სკამზე!

„ნიანგი"-ს შემდეგი ნომერი
სპეციალური ნომერია
ცეკავშირზე და მუშკოოპზე
თანამშრომლებს ვთხოვთ მასალები დაჩქარებით მოგვაწოდონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხომ გეუბნებოდით“!

ძველათ მენშევიკობდა ეს კაცი, სახელად ზენო.

ზენო თითქმის საზოგადო მოღვაწედაც ითვლებოდა, ესე იგი თითონ სთვლიდა თავს მოღვაწეთ.

— ზენო, ეს მონარქია დიდ ხანს გასტანს თუ იცი?

— მონარქია? მე მგონი გასტანს! რატომ არ უნდა გასტანოს, თავისი ნებით მეფე არ ჩამოვა ტახტიდან და შენ მიდი თუ კაი ბიჭი ხარ და ჩამოიყვანე!

—ომი, რომ დაიწყოს?

— ვინ დაიწყებს ომს? ვის აქვს თავი გაწირული? მე ჩხუბის დრო არ მაქვს, სხვების რა მოგახსენო!..

ომი დაიწყო იმპერიალისტური.

აკი ვამბობდი, ომი დაიწყებათქვა, ვაჟო, ბურჟუაზია უომრად გასძლებს? — შეაბრუნა კეხი ზენომ

—იქნებ ახლა მოხდეს რევოლიუცია?

— აჰ, თქვენ არ მომიკვდეთ, ომის დროს რევოლიუციიისთვის ვის სცალია!

რევოლიუცია მოხდა, მეფე დაამხვეს.

— ბატონ, რომ ვიტყვი უნდა დანიჯეროთ, ხომ გეუბნებოდით, მეფეს ჩამოაგდებენ თქვა, ომი და რევოლიუცია თან სდევს ერთმანეთს! —გაიძახის ზენო.

— როგორი იქნება წყობილება? ეს კერენსკი გასძლებს ვითომ? — ეკითხებიან ზენოს.

— კი, კი! უსათუოდ კერენსკი იქნება, მერე დამფუძნებელ კრებას მოიწვევენ და საბოლოოთ დამყარდება დემოკრატიულ - მობურჟუაზიული რესპუბლიკა! აბა ნე შენ გეტყვი და ბოლშევიკები გაბედავენ რასმეს!

ბოლშევიკებმა გაბედეს კი არა, დიდი ოქტომბრის რევოლიუცია მოამზადეს და პროლეტარიატი დასვეს დიქტატორად.

— ვიცოდი ასე, რომ მოხდებოდა, ვამბობდი კიდეც ბოლშევიკები გაიმარჯვებენ თქვა, მაგრამ ეს — დროებით, — ამტკიცებს ზენო, — ჩვენ აქ ვიყოთ საქართველოში დამოუკიდებლათ, შევინახოთ ეს ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა და ვიცხოვროთ ლამაზათ. თქვენც არ მომიკვდეთ, ბოლშევიკებმა აქეთ გამოხედვაც ვერ გაბედონ!

„დემოკრატიულმა“ რესპუბლიკამ სამი წელი იარსება. საქართველოს მუშებმა და გლეხებმა ველარ მოითმინეს და გააძევეს მენშევიკები და ძმანი მათნი.

— გულმა მიგრძნო, რომ ბოლშევიკები აქაც შემოვიდოდენ, თუ გახსოვთ, ვამტკიცებდი კიდეც, რომ საქართველოს გასაბჭოება აუცილებელია, — ისმის ზენოს მტკიცება.

—ვითომ შესძლებენ ქვეყნის აღდგენას? ვითომ გასძლებენ? — მაინც ეკითხებიან ზენოს.

— არა, ქვეყანას ეგენი ვერ გაუძღვებიან და ვერც გასძლებენ! ამას გარდა, ევროპა არ დაუშვებს, რომ ბოლშევიკებმა აკე დაიპყრონ დე-ფაქტად და დე-იურათ ცნობილი საქართველო! ევროპა უსათუოდ გვიხსნის!..

ახლა, ათი წლის თავზე:

—მე თავიდანვე ვამტკიცებდი, რომ საქართველოში საბჭოებს დიდი მომავალი აქვს! რას ამბობ კაცო, ბოლშევიკებს ვინ დაუდგება წინ? მე შენ გეტყვი, დამყაყებული ევროპა გიხსნის? მე მაქვს მხოლოდ ხუთწლედის ოთხწელში შესრულების იმედი!

„ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“.

ტერსიტი.

ქალთა საკითხი ზოგიერთ დაწესებულებებში

ნატ. დონია.

მოკითხვის ბარათი

(სუფსა)

ესე ამბავი, ნიანგო,
არის სრულიად ახალი,
ვით მოკრეფილი, დაჭრილი
და უხარშავი ჭარხალი.

სუფსაში ცხოვრობს შალიკო:
ქუდზე აქვს შავი ლენტია,
ის ბიჭად ბიჭა ქებული,
დღეს გამფლანგველი ქლენტია.
სარეწკავშირის მფარველი
აქ მეგრელიძე დიმიტრი,
(ყოფილი თავმჯდომარეა
აბა ამის ძვირს ვინ იტყვას).
ვერ მოითმინა მსუნაგმა,
სხვის კბილებს გაკრა კბილია,
მაგრამ გაუგო ჩეკამ და
გამოუთხარა ძირია.

შანცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტობიოგრაფია

—რათ მეჭაშნიკებ, თუ კაცი ხარ, ვიღაც შაკოს ავტობიოგრაფია!—გაიფიქრებს გულში მკითხველი, მაგრამ, უკაცრავად, ჩემი ავტობიოგრაფიის მოსმენა საჭიროა, რადგან მასში ჩაქსოვილია საერთაშორისო პოლიტიკური მოძრაობა.

მე დავიბადე **1905 წელს.** ადვილი წარმოსადგენია, როგორი რევოლუციონური ენტუზიაზმით აღსავსე ვიქნებოდი (თუმცა ამავე წელში დაბადებულებიდან ზოგიერთებმა ჟანდარმერიაში დაიწყეს სამსახური)

ანტირელიგიური განხრა ბავშობიდანვე მახასიათებდა, ნათლობის დროს თურმე ბლალოჩინს წვერებში ვეცი და ერთი ღერი ბალანი გამოვძურწე.

განიარაღების მომხრე მუდამ ჟამს გახლდით, ამიტომ იყო სწორედ, რომ ბიძაჩემს მოვპარე ტყვიები და ცეცხლიან ბუხარში შევყარე. რასაც შედეგათ მოყვა ბუხრის ჩამონგრევა.

ბიუროკრატიულ განხრას ჩემში ვერ ნახავდით, თუ ზოგი ბავში დედას უცდის-საჭმელი მისცეს, მე დაუკითხავათ, სხვების დაუხმარებლად ჩუმათ გავაღებდი შკაფს და რასაც შიგ ვნახავდი, ჩუმათ მივირთმევდი.

როცა წამოვიზარდე, ამაზე შემდეგ...

შაკო

მეცხრამეტეს ფსალმუნს

12 მარტს, (საღამოს 6 საათზე **ახალგაზრდა მხატვრებისათვის.**

13 მარტს, საღამოს 6 საათზე **ლიტერატურული** —ამხანაგებმა განსახილველი მასალები თან უნდა იქონიონ.

წახ. რევმასელის.

წერილი ნიანგს

(ჩოხატაური)

ბრალი არა მაქვს, მჩვევია
მტკიცეთ დავიცვა წესები;
ვსთქვა: „ბოლნიცაში“ არ ვარგა
სნეულთა ჩასახებსები...
გამორკვეული საქმეა,
(ასე გვიჩვენებს ძიება)
ლახანის წვენით აძლებენ
ჭლექი ახრჩობს თუ ციება...
თვითონ უზომოთ ყლაპავენ,
აქვთ ყველაფერი უკლები,
(ამბობენ: „საწყალ.“ ნიკიტას
მოჰკლავს „ალალი“ ლუკმები).

ამას ვინ ჩივა, აქვე სხვა
რომ არ ხდებოდეს უარესი;
ვნახე გუშინდამ საწყალი
ცოლს დასტიროდა ალექსი
—მომიკლეს ქალი,—ამბობდა
არ უნდა გოგის „ლაპორტი“,
სხვებიც მომკვდარა, ოცამდე
ორმოც რომ უქნეს აბორტი.
წელს-ოთხი ათას სნეულში
(ამბობს „ჯიუტი“ ფორფილა)
ოცი დარიცხეს უფასოთ,
სხვა „კულაკები“ ყოფილა...
ეს ბოროტება რატომღაც
მიკვირს რომ სანდრომ „აი იცის“.
არ გამოდგება ჩვენს დროში
წესი ამგვარი „ბოლნიცის“...

საფთრხე სახანძრო არ გველის,
საქმეა „შესამკობელი“,
ჯერ არ ნახულა ასეთი
ჩვენ რომ ცეცხლის გვყავს მქრობელი...

მათის სისწრაფის მომენტში
გასაოცარი ის არი—
ისე დაიწვის შენობა,
არ რჩება ღერი ფიცარი...

ისევე ყველას სჯობია
აქ „დამზადების“ ამბავი,
ალლახმა უწყოს სად არის
ბოლო იმისი ან თავი...

„ეპო“-მ მორეკა პირუტყვი
კავშირს უხვათ აქვს სოია,
ერთ ჯორს დატვირთავს უშანგი
იმდენი შეუგროვია...
„ღვაწლი“ დიდია „მზადების“...
(მე ასე მესმის ყურებში)
ჯილდოს კი ვიქტორ მიიღებს,
თესლი რომ გზავნა სურებში.

წაველა

ძღვნად თამრეს

ენაცვალოს ჩემ თამრიკოს დედა. ჩვენი სოფლის **კორ-ფის** მასწავლებელია.

იმ დღეს ბევრი ეხვეწენ, მაგრამ არ მოგიკვდეთ ჩემი თავი, ფეხიც არ გადადგა თეატრში სათამაშოთ. ძალიან ეცოდება მოწაფეები: კვირაში სამჯერ თუ ამაცდინებს, სხვა დროს სულ თავისუფლები არიან, მეტყვის ხოლმე — დიდი ხნით მაცადინეობა ბავშვებს გამოატვინებსო.

შემეევევლე ჩემ გოგოს. კრებებზე ფეხსაც არ გაადგამს ხოლმე, სულ სახლში წევს. კამპანიებს სულ არ ეკარება. (ლოთი ხომ არ არის) ეს თესვის კამპანიას, ეს შემოდგომის... ეს ისას, ის ესას...

რაღაც „სამლიკვიციო“ სკოლა გამოუგონიათ, იმის მასწავლებლად დაუყენებიათ. მაგრამ არ მოგიკვდეთ ჩემი თავი, იქ იგი ფეხსაც არ ადგამს. ასე მეუბნება: დედიჯან, რათ უნდა დავტანჯო ხანში შესული ხალხი, როცა ვიცი ვერაფერს ისწავლიანო... ჩემი შვილისთანა გოგო ერთიც არ არის. ვენაცვალე მას.

ნიანკორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონცერტი ღამის თევით

(ნამდვილი ამბავი)

როდის იყო ეს, დღე და რიცხვი არ არის საინტერესო; იყო კი უსათუოდ სულ მოკლე წარსულში და ისიც თვით ჩვენ სახელმწიფო ოპერის თეატრში. სავსე დარბაზი ძარღვებ დაჭიმული უცდის კონცერტის დაწყებას, მაგრამ არ იწყება.

— სიჩუმე, ამხანაგებო, გონგსა სცემენ, გეშველა, იწყებენ ვგონებ!— გაისმა ვიღაცას ხმა და ღამის სრულ პირველ საათზე მართლაც, როგორც იყო, ფარდა აიხადა.

პროგრამის სიმფონიური ნაწილი ისეთი საინტერესო აღმოჩნდა, რომ მის შუა ნაწილზე მთელს დარბაზში მქუხარე ტაშის ცემა ასტყდა.

ისმოდა აღზრთოვანებული ყიჟინი: იკმარეთ გვაკმარეთ, შეიბრალეთ ჩენი ნერვები, ნუ დაგვხოცავთ, შესწყვიტეთ, მოგვეცით სიმღერა.

ორკესტრი იძულებული შეიქმნა კაცთმოყვარეობის პრინციპების მიხედვით წასულიყო სცენიდან.

დაიწყო სიმღერა. გადასული შუა ღამეა. ზოგი შინისკენ მიდის: ზოგი გულმოდგინეთ ხვრინავს, ზოგს კი მორიდებით ეძინება. კონცერტის მეთაური უშვებს ნომერს. ცალფა ხმა გუნდის მოძახილით უმღერის აუდიტორიას ნანინას:

ნანინა იავ ნანინა,
ნანაო ვარდო ნანაო,
იმ ქვეყნის ნორჩო ყვავილო
ამ ქვეყნის გამოცანაო.
ჩამოდი ძილო მკურნალად
წამწამზე დაეკიდეო,
უკეთეს ბინას ვერ ნახავთ
რომ მოვლოთ კიდით კიდეო.

დარბაზში ერთი მესამედი ტკბილად იძინებს.

განაგრძობენ პროგრამას. ქუმსიაშვილი და ვენაძე მღერიან ორფად:

ამაღამდელო ღამეო
ნუ გათენდები მალეო"...
პროგრამა უნდა დასრულდეს,
ველარ ვიხილავთ ხვალეო.

მიუხედავათ ამისა, მაინც თენდება და ფანჯრებში სინათლე შემოდის. როცა სიმღერა შემდეგ ფრაზაზე გადადის: „დილაზე ადრე მგზავნიან პირსა ინდოეთისა" — მომღერლებს რეკვიზიტიდან მოართმევენ მარჯანიშვილის ფორმაცრის არსენას გავახსვასებულ ლურჯა ცხენს.

რადგან უკვე დილაა, სოლისტები ამ ერთ ცხენზე შეჯდებიან და გასწევენ კოჯრის გზით ინდოეთისაკენ.

— შემდეგი ნომერი ჩვენი პროგრამისა... — აცხადებს კონცერტის წამყვანი:

„მზეო ამოდი ამოდი
ნუ ეფარები გორასა"
ხალტურას კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ გორავსა

ამ ნომერს ასრულებს ოპერის მთელი ანსამბლი. მზე მართლა ამოდის კონცერტი ნახევრად დაუმთავრებელი რჩება. შემდეგი ნომრის გამომცხადებელი არავინ არის, რადგან „წამყვანსაც" იქვე ფეხზე დასძინებია.

სცენაზე გამოდის თვით ადმინისტრაცია, ვასო პატარაიასა სახით.

— ანტრაქტი ნახევარი საათი, პროგრამა უნდა შესრულდეს მთლიანად, მისხალიც არ შეიძლება რომ დააკლდეს. — აცხადებს იგი და ფარდა ნელნელა ეშვება.

ჰოპ-ლა

14

თვითმპყრობელ რუსეთის კონსტიტუცია



სურათი უკუღმა შეაბრუნეთ



მკითხველებსა და თანამშრომლებს ვსთხოვთ — მოგვაწოდონ **თემები კარიკატურებისათვის**, რისთვისაც მიეცემათ შესაფერი ჰონორარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანკეტიადა
(ბათუმის განსახკომი)

ანკეტა მრავალნაირია: გრძელი, მოკლე, ბიუროკრატიული, უბრალო შინაარსიანი, უშინაარსო, ხანდახან სათანადო კურსების გავლა არის საჭირო, რომ შეავსო ზოგიერთი ანკეტა.

— რას აკეთებდა მამა შენი ალიხანოვის დროს?

— ითენებდა თუ არა შობას და რატომ?

— გიყვარდა თუ არა ბავშობაში ჩიჩილაკი?

— როგორ უყურებს ბებიაშენი ანტირელიგიურ კამპანიას?

— მოსწონს თუ არა მას საბჭოთა ხელისუფლება? (თუ არ მოსწონს, რატომ და რა ზომებს ღებულობ მის წინაალმდეგ?).

— იხდი თუ არა ბინის ქირას?

— კმაყოფილია თუ არა სახლის პატრონი?

— რისთვის გაეყარე პირველ ცოლს, ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე, თუ მომჭირნეობის მიზნით?

იკითხავთ: რად დასჭირდა ავტორს ამ ამბის მოყოლა და ანკეტის გაზღაპრება. გასაკვირი არაფერია. ყოველი ამბავი შორიდან იწყება.

ხელში გვიჭირავს აჭარისტანის განსახკომის ანკეტა, რომელიც შესავსებათ მიიღეს სკოლებმა. ჩვეულებრივი ამბით იწყება ანკეტა: გვარი, სახელი, მამის სახელი, შემდეგ მიდის ეროვნება და ჩამოთვლილია: ქართველი, რუსი, აჭარელი, სომეხი, ებრაელი. მაგრამ სხვებმა რა დააშავეს, რომ არ არიან ანკეტაში აღნიშნული: გერმანელი, პოლონელი, სურებელი, ღვანკითელი და სხვ.?

დიდარს, ბიუროკრატიზმო, ძალა შენი!

ცელი.

თანამედროვე ანდაზები

პილსუდსკი: — აკი ვამბობდი: სახრჩობელა გამოსადეგია-თქო!

გოდორი

ზრ—ხას. (ოფეთი). სკოლის გამგე ჩიჩუაზე გვწერთ:

ქალებს ,ზად ხვდება ცუდ ზრახვით,
წაილო რადა, სინსილა.
—არავის აგდებს არაც რად,
— ეს ოფეთელი ყვინჩილა.

დროზე უნდა ჭკუის სწავლება, თორემ როცა ყვინჩილა მამალი გახდება, მერე ყარესს ჰაიდენს.

გურულს. (ბახვი). ხელმოუწერელ წერილებს ჟურნალში კი არა, გოდორში ვათავსებთ.

№ 210703-ს (სადგ. ლიხი). ვათავსებთ თქვენს ლექსიდან შემდეგ ამონაწერს:

გვარად არის ხონგაძე, სახელი აქვს ვასო,
მას ვერავინ დაათრობს, ღვინოს ისე სვამსო.
თუ ადგილი გამოჩნდება, ვასო ფეხზე დგასო:
რომელიმე ძმა-ბიჭიო უნდა შიგ ჩაესო.

ჯერ-ჯერობით ვიკმაროთ; დავუცადოთ შედეგს.

შლ—ის (შროშა). ასეთ გრძელ ლექსში მხოლოდ ეს ადგილი თუ გამოდგება:

აბა ამ კუპლეტს უსმინე,
— იმღერე დელი, დელია.
მასწავლებელი ნინ აჩკა
ყოფილა ჯავსიელია. —

ჰოდა თუ შავსიელია, თქვენ მას ვერ აუკრძალავთ სკოლაში პრანჭიაობას და საღებავის წასმას.

ბუნტის თავს (კულაში). გვწერთ, რომ: „კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილეს 500 მანეთი გადაცდა ყელში და დაზარალებული მოთავსებულია საავათმყოფოში“-ო. ვის გულისხმობთ ამ შემთხვევაში. დაზარალებულად: კოლმეურნეობას თუ თავმჯდომარის მოადგილეს? (ფაქტიურად დაზარალდა კოლმეურნეობა და არა მთლანგველი).

კოხს (ბათომი) რატომ არ გვატყობინებთ, თუ რომელ კურსებზე ხდება ასეთი „საქმენი საგმირონი“:

რამინაშვილმა რაისომ
მოგვპარა კედლის გაზეთი.
აბა სთქვით—სადმე ოდესმე
მომხდარა სადმე ასეთი?

ეს რა გასაკვირია, შე კაი კაცო, როცა თქვენთან თურმე:

ოთხასი გლეხის შვილია
ლარიბი უკიდურესი,
და პრაქტიკაზე გზავნიან
ვინც არის აქ უმდიდრესი. და ამის შემდეგ არც

გასაკვირია: კედლის გაზეთი გამოდის,
რაც განათლების დარგია;
და რომ ვსთქვათ მასზე მართალი
ის არაფერში გვარგია.

თავისთვის უვარგისი, სხვებისთვისაც ასეთივეა.

ჩანჩურას (ტობანიერი) სახელგანთქმული ყოფილა თქვენი კოოპერატივი: კოოპერატივის ნოქარმა,

გლეხებზე გაინადირა
ოცდასამ იანვარსა
ცხვირიდან სისხლი ადინა.

ამის შემდეგ არ უნდა გაგიკვირდეთ, თუ კოოპერატივზე ადგილობრივად საყვედურს გამოსთქვამენ.

ქვიმატს (ზუგდიდი, ს. კორცხელი) არჩილ თოლორაიაზე გვწერთ, რომ:

თვითონ აღარ მუშაობს,
სხვას აგზავნის ქირაზე.
კოლექტივი არია,
დააყენა ყირაზე.

— ნუ თუ ასე ძნელია თვით არჩილის ყირაზე დაყენება, რომ კოლექტივი ყირაზე დაყენებისაგან გადარჩეს! — ეკითხება ამხ. ნიანგი ადგილობრივ ხელისუფლებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი და ახალი

ნახ. ნადარეიშვილის.

საგაზეთო გამომცემლობა სტამბა „კოლექტივი", ქამოს ქ., № 68.